



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში  
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

## წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია – ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის რუსუდან დიასამიძის და იურიდიული განყოფილების უფროსის გიორგი დიასამიძის მიერ;
2. დამტკიცებულია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ (2022 წლის 14 თებერვლის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N02);
3. მოქმედებაშია – დამტკიცების დღიდან;
4. პერიოდული შემოწმება – წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. ცვლილებები – ცვლილებათა შეტანა წარმოებს არსებული დებულების გამოყენების შედეგებით ან ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნების ცვლილებებისას, რომლის საფუძველზეც შემუშავდება დებულება.
6. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების (ვერსიის) დამტკიცების შემთხვევაში




**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**  
**ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში**  
**სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება**

**Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre**

**დებულებაში ცვლილებათა აღრიცხვის ფურცელი**

<b>ცირკულარული წერილის №</b> ან ცვლილებათა შეტანის სხვა საფუძველი	<b>დამტკიცების დრო და რიცხვი</b>	<b>შეცვლილი პუნქტები (გვერდები)</b>	<b>პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა</b>
2022 წლის 14 თებერვლის ცვლილებათა ცირკულარული წერილი N05; 2022 წლის 14 თებერვლის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N02	14.02.2022	<p>მსმენელთა სწრებადობა ფიქსირდება მეზღვაურთა დოკუმენტმართვის სისტემის ელექტრონულ მოდულში, თუ მსმენელი არ ესწრება ლექციას და ამას ისტრუქტორი ასახავს მოდულში, მოდული ავტომატურად ბლოკავს მსმენელის გამოცდაზე გასვლას.</p> <p>აქედან გამომდინარე კონვენციური კურსებისთვის არაა სავალდებულო მყარ ჟურნალების წარმოება, ხოლო არაკონვენციური საწვრთნელი კურსებისთვის ვაწარმოებთ მყარ ჟურნალებს.</p> <p>ამოდებულ იქნას წარმოებიდან კონვენციური საწვრთნელი კურსებისთვის ჟურნალების მყარი ვერსია.</p> <p>ეს და სხვა ცვლილებები, რომელებიც გამოწვეულია მეზღვაურთა დოკუმენტმართვის სისტემის ელექტრონულ მოდულის წარმოებით ასახულია ნდ 2-010129 წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში სასწავლო პროცესის მართვის დებულებაში, მათ შორის კონვენციური კურსების გამოცდების ელექტრონულად ჩატარების სისტემა.</p> <p>2021 წლის 14 თებერვლით დამტკიცდა ნდ 2-010129 „წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში სასწავლო პროცესის მართვის დებულება“ ვერსია N3.</p>	<p>რუსუდან დიასამიძე</p> 



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში  
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

შინაარსი

1. გავრცელების სფერო .....	5
2. ნორმატიული მითითებები.....	5
3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები.....	5
4. ზოგადი დებულება .....	6
5. ცენტრში მოქმედი კურსების იდენტიფიკაცია.....	7
6. საწვრთნელი კურსების პროგრამების შემშავება, დამტკიცება, აღიარება .....	7
7. კურსებზე მსმენელების დაშვები წინაპირობა და მოთხოვნები .....	8
8. არაკონვენციური კურსების გავლის პირობა .....	10
9. მოთხოვნები ინსტრუქტორის მიმართ .....	10
10. მომზადების პროცესის იდენტიფიკაცია და მიკვლევადობა .....	10
11. მსმენელის ცოდნის შეფასების პროცესი .....	11
12. შემოწმება, კონტროლი.....	11
13. რესურსები.....	12
14. პასუხისმგებლობათა განაწილება.....	12
15. ანგარიშგებითი დოკუმენტები.....	12
16. კონფიდენციალურობა.....	13
დანართი 1 არაკონვენციური სერტიფიკატის ნიმუში.....	14
დანართი 2 მომსახურების შეფასების ფორმის ნიმუში .....	15
დანართი 3 ჩეკლისტის ნიმუში .....	16
დანართი 4 ტესტის ნიმუში .....	17
17. პერიოდული შემოწმების ფურცელი.....	18
18. პერსონალის დებულებასთან გაცნობის ფურცელი.....	19
19. შეთანხმების ფურცელი.....	20



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში  
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

## 1. გავრცელების სფერო

- 1) წინამდებარე დებულება ვრცელდება შპს ბუსსს ანრის მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის პერსონალზე, რომელიც მონაწილეობს საწვრთნელი კურსების ორგანიზებასა და მიმდინარეობაში (მათ შორის ტექ.პერსონალი, პედაგოგები, ინსტრუქტორები, ლაბორანტები) და მსმენელებზე;
- 2) დებულებაში გაწერილია საწვრთნელი პროგრამების შემუშავება, დამტკიცების წესი, კურსებზე მსმენელების დაშვების აუცილებელი წინაპირობა და მოთხოვნები.
- 3) დებულება წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტს შპს ბუსსს ანრის მთელი პერსონალისათვის.
- 4) დებულების აღრიცხული ეგზემპლარები ინახება ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურში; საკონტროლო ეგზემპლარები ელ.ვერსიით (შიდა ქსელი) ინახება შპს ბუსსს ანრის საქმისწარმოების, მიმოწერისა და ადამიანური რესურსების განყოფილებაში და წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში;
- 5) დებულების დასაგზავნი ეგზემპლარების მომზადება და დაგზავნა ხდება ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

## 2. ნორმატიული მითითებები

არსებული დებულების შემუშავებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები:

- 1) სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
- 2) სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
- 3) საქართველოს კანონი "მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ";
- 4) „საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების აღიარებისა და საზღვაო-სასწავლო დაწესებულებებისა და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგის წესის“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ დირექტორის 2014 წლის 25 დეკემბრის №05 ბრძანება, ცვლილებებით;
- 5) საერთაშორისო კონვენცია „მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირების და ვახტის გაწევის შესახებ“, ცვლილებებით (STCW Convention with amendments);
- 6) საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მოდელ კურსები (IMO Model Courses);
- 7) ნდ 2-0201-01- დოკუმენტთა და მონაცემთა მართვის პროცედურა

## 3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

წინამდებარე წინაპირობაში და მოთხოვნებში გამოიყენება იმ ნორმატიული დოკუმენტების ტერმინები, განსაზღვრებები, შემოკლებები, რომელთა საფუძველზეც დამუშავდა ეს დოკუმენტი.

### 3.1 ტერმინები, განსაზღვრებები

- 1) **აღრიცხული ეგზემპლარი** - დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია სააღრიცხვო ნომერი აღრიცხული ეგზემპლარების სიის მიხედვით;
- 2) **ინსტრუქტორი** - მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში საწვრთნელი კურსების მწარმოებელი და შემფასებელი პირი;
- 3) **კურსი** - საწვრთნელი კურსი
- 4) **მიმართვა** - ამონაწერი მეზღვაურთა დოკუმენტმართვის სისტემის ელექტრონული მოდულიდან, რომელიც ეძღება მეზღვაურს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში წარსადგენად საწვრთნელი კურსის შესაბამისი სერტიფიკატის მისაღებად.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში  
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

- 5) მსმენელი - საწვრთნელ კურსსზე ცარიცხული პირი;
- 6) ნორმატიული დოკუმენტი - დოკუმენტი, რომელიც ადგენს სხვადასხვა საქმიანობის წესს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;
- 7) საკონტროლო ეგზემპლარი - მოქმედი დოკუმენტის ეგზემპლარი, რომელსაც გააჩნია სააღრიცხვო ნომერი და „საკონტროლო ეგზემპლარის“ გრიფი;
- 8) ჩეკლისტი – პრაქტიკული ცოდნის შეფასების ფურცელი;

3.2 შემოკლებები

1. ბუსსს ანრი- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი (ტექსტში ასევე შეიძლება შეგვხდეს, როგორც სასწავლებელი);
2. ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;
3. STCW - საერთაშორისო კონვენცია „მეზღვაურების მომზადების, დიპლომირების და ვახტის გაწევის შესახებ“ ცვლილებებითა და დამატებებით;
4. ცენტრი - შპს ბუსსს ანრის მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრი;
5. ნდ - ნორმატიული დოკუმენტი;
6. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო (სააგენტო) - საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

4. ზოგადი დებულება

- 1) წინამდებარე დებულება ადგენს წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში საწვრთნელი პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცების, აღიარების პროცესს, მსმენელების კურსებზე მიღების, ჩარიცხვის, იდენტიფიცირების, კურსების გავლისა და კურსების გავლის შემდეგ მსმენელის ცოდნის შეფასების პროცესს.
- 2) ბუსსს ანრიში დადგენილია და მოქმედებს კურსების მსმენელთა პროვინების იდენტიფიკაციის, დაგეგმილ ღონისძიებათა შესრულების ეტაპების, აგრეთვე, მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში მომსახურების ხარისხთან უშუალოდ დაკავშირებული დოკუმენტებისა და მონაცემების დოკუმენტირებული პროცედურები: დაწყებული განაცხადის მიღების მომენტიდან სწავლების დასრულებამდე და საბოლოო დოკუმენტის/სერტიფიკატის თუ ოქმიდან ამონაწერის გაცემამდე.
- 3) იდენტიფიკაცია წარმოებს შესაბამისი საშუალებების დახმარებით (უშუალოდ ან მოცემულ სასწავლო ეტაპთან დაკავშირებულ დოკუმენტებსა და მონაცემზე მითითებით) და უზრუნველყოფს მომსახურების შესრულების პროცესის მიკვლევადობას და რეგისტრირდება.
- 4) ცენტრში მომსახურების იდენტიფიკაცია და მიკვლევადობა უზრუნველყოფილია:
  - ცენტრის ყოველ სტრუქტურულ ერთეულზე სპეციალური ციფრული კოდის მინიჭებით;
  - ყოველ მომზადების კურსზე ციფრული კოდის მინიჭებით;
  - თითოეული მსმენელის პირად საქმეზე ციფრული კოდის მინიჭებით (იდენტიფიკაციური ნომერი);
  - ყველა შევსებულ თუ გაცემულ დოკუმენტზე, რომელიც შესრულებულია დადგენილი და დამტკიცებული ფორმების ბლანკის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ან სარეგისტრაციო ნომრის მინიჭებით, გაცემის ან შევსების თარიღის აღნიშვნითა და საჭიროებისამებრ სასწავლებლის ბეჭედის დასმით, რომელიც ინახება შპს ბუსსს ანრის გენერალურ დირექტორთან.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში  
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

**5. წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში მოქმედი საწვრთნელი კურსების იდენტიფიკაცია**

- 1) ცენტრში ფუნქციონირებს მოქმედი და დამწყები მეზღვაურების მომზადების/გადამზადების, სერტიფიცირების კონვენციური (ანუ საერთაშორისო კონვენცია STCW მოთხოვნების შესაბამისი) და არაკონვენციური (ანუ გემის ტიპიდან, სპეციფიკიდან გამომდინარე გემთმფლობელი კომპანიების მიერ მოთხოვნადი) კურსები (კურსების ჩამონთვალი თან ერთვის დებულებას).
- 2) კურსების ჩამონთვალი მტკიცდება გენერალური დირექტორის მიერ. ჩამონთვალში მითითებულია კურსების დასახელება ქართულ და ინგლისურ ენაზე, მოდელ კურსი, რომლის შესაბამისად შემუშავებულია პროგრამა, კურსის ხანგრძლივობა, რეგულაციები (თუ რომელი კონვენციის თუ სხვა რეგულაციის შესაბამისად ტარდება კურსი), კურსის სერტიფიკატის გამცემი ორგანო და კურსის საფასური.
- 3) კონვენციური კურსების მოსამზადებელი პროგრამები შემუშავებულია საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მოდელ კურსების შესაბამისად, „მეზღვაურების მომზადების, დიპლომირების და ვახტის გაწევის შესახებ“, ცვლილებებითა საერთაშორისო კონვენციის გათვალისწინებით, და/ან ზემდგომი ორგანოს მიერ გაცემული სამართლებრივი აქტის საფუძველზე კომპეტენტური პედაგოგიური პერსონალის მიერ, დამტკიცებულია სასწავლებლის გენერალური დირექტორის და აღიარებულია სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ. კონვენციური კურსების სერტიფიკატებს გაცემს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, ჩვენს მიერ გაცემული ელექტრონული მოდულიდან ამოღებული მიმართვის საფუძველზე.
- 4) არაკონვენციური კურსების მოსამზადებელი პროგრამები შემუშავებულია კომპეტენტური პედაგოგიური პერსონალის მიერ, დამტკიცებულია სასწავლებლის გენერალური დირექტორის მიერ. არაკონვენციური კურსების სერტიფიკატებს გაცემს შპს ბუსსს ანრი (ნიმუში იხ. დანართი 1).
- 5) ყველა საწვრთნელი კურსი (პროგრამა) იდენტიფიცირებულია კოდის მინიჭებით. შემუშავებულ პროგრამას ენიჭება ნორმატიული დოკუმენტის (ნდ) ნომერი „ბუსსს ანრის დოკუმენტების (შიდა , გარე), მოქმედი ფორმების ფონდი, საქმეთა ნომენკლატურა“ (ნდ 2-010103) შესაბამისად. მინიჭებული ნომრის ბოლო ორი ციფრი აღნიშნავს კურსის კოდს. მაგალითად: კურსის პროგრამას მიენიჭა ნდ N 2-0301-50, აქედან -50- აღნიშნება, როგორც კურსის კოდი.

**6. საწვრთნელი კურსების პროგრამების შემუშავება, დამტკიცება, აღიარება, განახლება**

- 1) წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში არსებული კურსების პროგრამები შემუშავება ხდება სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად. პროგრამის შემუშავების ძირითად საფუძველს უნდა წარმოადგენდეს, მეზღვაურების მომზადების, დიპლომირების და ვახტის გაწევის შესახებ” (STCW) საერთაშორისო კონვენციის და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) მიერ შემუშავებული მოდელ კურსების განახლებული ვერსიები და ის უნდა მოიცავდეს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ დამტკიცებული ჩარჩო სტანდარტით გათვალისწინებულ ყველა ნაწილს (წინამდებარე დებულებას თან ერთვის ჩარჩო სტანდარტი). პროგრამას როგორც დამატებით ინფორმაცია ერთვის არსებული კურსის პედაგოგების მონაცემები, კომპეტენციის/ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები და საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ კურსის აღიარების სერტიფიკატის ასლი.
- 2) საწვრთნელ პროგრამას შეიმუშავებს შესაბამისი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მქონე ინსტრუქტორ(ებ)ი, წარადგენს შესათანხმებლად ხარისხის სამსახურში და დასამტკიცებლად სენატის სხდომაზე. საწვრთნელ პროგრამებს ამტკიცებს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორი.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში  
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

- 3) კონვენციური საწვრთნელი კურსის პროგრამა გენერალური დირექტორის დამტკიცების შემდეგ აღიარების მოსაპოვებლად ეგზავნება საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, აღიარების შედეგად კურსის პროგრამა ითვლება ნებადართულად (განსახორციელებლად).
- 4) საწვრთნელი კურსის პროგრამის განახლება ხდება რეგულაციების, სტანდარტების, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მოდელ კურსების განახლების, ცვლილების შეტანის და აღიარების ვადის გასვლის შემთხვევაში.

**7. საწვრთნელ კურსებზე მსმენელების დაშვების წინაპირობა და მოთხოვნები**

- 1) საწვრთნელ კურსებზე მსმენელების დაშვების წინაპირობა და მოთხოვნები გაწერილია ყოველი საწვრთნელი კურსის პროგრამაში.
- 2) ცენტრში არსებულ კურსებზე მსმენელების ჩარიცხვა (კურსის ჯგუფის შედგენა) ხდება შემოსული განცხადების საფუძველზე გენერალური დირექტორის ბრძანებით;
- 3) მეზღვაურთა განცხადების ანალიზი ხორციელდება ნდ № ნდ 2-0201-01 „დოკუმენტა და მონაცემთა მართვის პროცედურა“ შესაბამისად;
- 4) განცხადება რეგისტრირდება შესაბამის ჟურნალში ცენტრის საქმისმწარმოებლის მიერ;
- 5) მსმენელს ენიჭება ციფრული კოდი (საიდენტიფიკაციო ნომერი), რომელიც აღარ იცვლება მსმენელის შემდგომი განაცხადის შევსების დროს;
- 6) განცხადების ანალიზის საფუძველზე დგინდება იმ პირთა სია, რომელთაც ეძლევათ საწვრთნელი კურსების გავლის უფლება, რის შემდეგაც გამოიცემა ბრძანება ჩარიცხვის შესახებ, სადაც აღინიშნება კურსის დასახელება, კურსის დაწყების და დასრულების თარიღი, ჩარიცხული მსმენელების სია, ინსტრუქტორების/პედაგოგების სია;
- 7) ბრძანების საფუძველზე პროფესიულ სტუდენტთა, მსმნელთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილების უფროსი ან საქმისმწარმოებელი (ან წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის საქმისმწარმოებელი) ახდენს მსმენელების გადანაწილებას კურსებზე, იწვევს შესაბამის ინსტრუქტორ(ებ)ს;
- 8) პროფესიულ სტუდენტთა, მსმნელთა და თანამშრომელთა მომსახურების განყოფილების უფროსი ან საქმისმწარმოებელი (ან წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის საქმისმწარმოებელი) კურსის დაწყებასა და დამთავრებას უთანხმებს/აცნობებს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ელექტრონული მოდულის საშუალებით, სადაც ხდება ელექტრონულად ატვირთვა კურსზე შექმნილი ჯგუფის (თითოეული მსმენელის დოკუმენტაცია) და ინსტრუქტორების მონაცემების. სააგენტოს აქვს უფლება არ დაუშვას კურსის დაწყება თუ ატვირთული მონაცემები არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. საჭიროებისამებრ ინფორმაცია კურსის დაწყებ-დამთავრების შესახებ სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში იგზავნება წერილობითაც;
- 9) ინფორმაციას კონვენციური კურსის დაწყების, დასრულების და ჩარიცხული მსმენელების შესახებ ცენტრი აწვდის საზღვაო სააგენტოს წინასწარ (ელ.მოდულის მეშვეობით), არა უგვიანეს სასწავლო კურსის დაწყების პირველი დღისა;
- 10) საწვრთნელ კურსზე მსმენელების მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა გაწერილია ყოველი საწვრთნელი კურსის პროგრამაში;
- 11) კურსის პირველ დღეს მსმენელებს პედაგოგების/ინსტრუქტორების მიერ ურიგდება კურსის თემატიკური გეგმა, ცხრილი (ე.წ. Handout) და სურვილისამებრ სილაბუსი ქართულ და/ან ინგლისურ ენაზე;
- 12) შპს ბუსსს ანრის ბიბლიოთეკაში მსმენელისთვის ხელმისაწვდომია ყოველი კურსის სილაბუსი და სავალდებულო ლიტერატურა;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში  
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

- 13) კურსების დასრულების შემდეგ, მსმენელმა უნდა ჩააბაროს გამოცდა/ტესტირება ცოდნისა და კომპეტენტურობის დასადასტურებლად;
- 14) სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ ხორციელდება საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულებებში მეზღვაურთა მიერ საზღვაო-საწვრთნელი კურსის დასრულების შემდგომ თეორიული გამოცდის მიმდინარეობის ორგანიზება;
- 15) თეორიული გამოცდა ტარდება ელექტრონული ტესტირების მეთოდით მეზღვაურთა დოკუმენტმართვის სისტემის ელექტრონულ მოდულში, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ დამტკიცებული პროცედურის მიხედვით;
- 16) საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევებში საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულებას დართოს ნება გამოცდა ჩაატაროს რეალურ სივრცეში;
- 17) არაკომპენციური კურსების გამოცდა-ტესტირება ტარდება რეალურ სივრცეში, ამობეჭდილი ტესტებისა და ჩეკ-ლისტების მეშვეობით;
- 18) გამოცდაზე თეორიული ნაწილის შემოწმება წარმოებს ტესტირებით, ხოლო პრაქტიკული სიმულატორული დავალებების, ან პრაქტიკული დავალებების შესრულებით, რომელზეც აღინიშნება ჩეკლისტებში;
- 19) საგამოცდო ტესტები, ჩეკლისტები, სიმულატორული დავალებები შესაბამისობაშია საწვრთნელი კურსის პროგრამასთან, რომლების განახლება ხდება პროგრამის, კურსის შესაბამისი რეგულაციის, ცვლილებისას, განახლებისას; ამას გარდა ინსტრუქტორი ვალდებულია პერიოდულად მოახდინოს საგამოცდო საკითხების გადახედვა და გაახლება;
- 20) არაკომპენციური საწვრთნელი კურსების საგამოცდო ტესტები და პასუხები ინახება წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსთან პაროლით დაცულ კომპიუტერში და გაიცემა ინსტრუქტორისთვის გამოცდის წინ;
- 21) გამოცდა ტარდება ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული საგამოცდო კომისიის მიერ;
- 22) გამოცდას, სურვილისამებრ, შეიძლება დაესწროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ან სხვა დამკვეთი კომპანიის წარმომადგენელი, რომლის დასწრება აღინიშნება საგამოცდო ოქმში;
- 23) საწვრთნელი კურსების გამოცდის შედეგები ფორმდება საგამოცდო ოქმის სახით;
- 24) არადამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში მსმენელს აქვს გამოცდის განმეორებით ჩაბარების უფლება, საგამოცდო კომისიის წინაშე, შემდეგი სასწავლო ჯგუფის შემადგენლობაში. მსმენელს გამოცდაზე ხელმეორედ გასვლის უფლებამოსილება, დამატებით აქვს არაუმეტეს ორჯერ. სამივეჯერ ჩაჭრის შემთხვევაში მსმენელი ხელმეორედ გაივლის კურსს.;
- 25) თუ მსმენელი მესამედ გასულ გამოცდაზე კვლავ მიიღებს არადამაკმაყოფილებელი შედეგს, მას ჩაითვლება სუსტ მსმენელად და გენერალური დირექტორის განკარგულებით დაენიშნება დამატებითი საათები ამა თუ იმ კურსის შესასწავლად. დამატებითი საათები იქნება ანაზღაურებადი.
- 26) არაკომპენციური კურსებზე ჩარიცხვა ხდება ზემოაღნიშნული პროცესით, გარდა საზღვაო სააგენტოს ინფორმირებისა კურსების დაწყება, დამთავრება, მსმენელების ჩარიცხვის შესახებ, რადგან არაკომპენციური კურსების დასრულების შემდეგ სერტიფიკატებს გასცემს ბუსსს ანრი;
- 27) ბუსსს ანრის მიერ გაცემული სერტიფიკატები რეგისტრირდება შესამაბის წიგნში;
- 28) განცხადებაში აღნიშნული ყველა კურსის დასრულების შემდეგ მსმენელი ავსებს გაწეული მომსახურების შეფასების ფურცელს, რომელიც შეიძლება შეავსოსო ანონიმურად. ანონიმურობის დასაცავად მიმღებში განთავსებულია ყულაბა, სადაც მსმენელი მოათავსებს მის მიერ შევსებულ შეფასების ფორმას.
- 29) თუ შეფასების ფურცელზე მსმენელი აღნიშნავს სახელ, გვარს ასეთი ფურცელი ინახება მსმენელის პირად საქმეში, თუ მსმენელი რჩება ანონიმი - ფურცლები ინახება ხარისხის სამსახურში შესაბამის საქმეში.





შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში  
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

## 8. არაკონვენციური კურსების გავლის პირობა

- 1) ბუსსს ანრიში ტარდება, როგორც კონვენციური, ასევე არაკონვენციური კურსები.
- 2) არაკონვენციური კურსები ტარდება კრუინგული კომპანიების მოთხოვნათა შესაბამისად. ყოველი კურსისთვის მუშავდება შესაბამისი პროგრამა, სადაც გაწერილია კურსენზე დაშვების, შეფასების, წვრთნის ჩატარების, ინსტრუქტორების მიმართ მოთხოვნები და სხვა სავალდებულო პირობები.
- 3) არაკონვენციური კურსების სერტიფიკატებს გაცემს ბუსსს ანრი.
- 4) სერტიფიკატების ნომერი და გაცემა რეგისტრირდება შესაბამის წიგნში.
- 5) სერტიფიკატის ნომერის ინდექსაცია განსაზღვრება სერტიფიკატის რიგითი ნომრისა და მიმდინარე წლის რიცხვების მინიჭებით: მაგ. 001/2022
- 6) დაშვებულია სერტიფიკატის დუბლიკატის გაცემა იმ შემთხვევაში, როდესაც მსმნელი მოგვმართავს განცხადებით, სერტიფიკატის დაკარგვის ან დაზიანების შესახებ.
- 7) სერტიფიკატის დუბლიკატი განსხვავდება ორიგინალი სერტიფიკატისგან რეგისტრაციის ნომრით, მაგ. 001/2015-D, სადაც D აღნიშნავს დუბლიკატს და სერტიფიკატის ორივე მხარეზე აღინიშნება სიტყვა „DUPLICATE“.
- 8) დუბლიკატის გაცემა რეგისტრირდება სერტიფიკატების რეგისტრაციის წიგნში, შენიშვნის სვეტში.

## 9. მოთხოვნები ინსტრუქტორების მიმართ

ყოველი საწვრთნელი კურსის პროგრამაში გაწერილია მოთხოვნები ინსტრუქტორების მიმართ. კურსის ჩატარება ხორციელდება თვით ბუსსს ანრის ინსტრუქტორების ან სხვა საზღვაო დაწესებულებიდან მოწვეული კვალიფიცირებული, სერტიფიცირებული სპეციალისტის მიერ.

## 10. მომზადების პროცესის იდენტიფიკაცია და მიკვლევა

- 1) თითოეულ მსმენელს ცენტრში განაცხადის წარდგენისას ენიჭება საიდენტიფიკაციო ნომერი განაცხადის რეგისტრაციის რიგითი ნომრის შესაბამისად, რომლის რეგისტრაცია ხორციელდება სპეციალურ ჟურნალში და ელექტრონულ ბაზაში. ყოველი მსმენელის საიდენტიფიკაციო (სარეგისტრაციო) ნომრის შესაბამისად მიიკვლევა კურსებზე მსმენელის დასწრების აღრიცხვის ჟურნალში, საგამოცდო ტესტირების, საგამოცდო კომისიის ოქმებში.
- 2) მსმენელისთვის ერთხელ (პირველად) მინიჭებული იდენტიფიკაციური ნომერი არ იცვლება და განმეორებითი სერტიფიცირების დროს ენიჭება პირველად მიცემული იდ. ნომერი.
- 3) მსმენელისთვის კურსებზე დასწრება სავალდებულოა. სწრებადობის მაჩვენებელი აღნიშნული არის ყოველი კურსის პროგრამაში (მე-II ნაწილის მე-11 პუნქტი);
- 4) კონვენციურ კურსებზე მსმენელის დასწრება აღინიშნება ელექტრონულ მოდულში, ხოლო არაკონვენციური კურსების დასწრება ფიქსირდება სასწავლო ჟურნალში: მსმენელის დასწრება – „კი“, ხოლო არ გამოცხადება აღინიშნება – „არა“ ;
- 5) კურსების საგამოცდო კომისიის ოქმებს, ენიჭება ნომერი, რომელიც შედგება კურსის კოდისა და ოქმის რიგითი ნომრებისგან, შემდეგი პრინციპით: 2018, სადაც პირველი ორი რიცხვი აღნიშნავს კურსის კოდს, ხოლო შემდეგი – ოქმის რიგით ნომერს.
- 6) საგამოცდო ოქმებს ხელს აწერენ გამოცდაში მონაწილე კომისიის თავმჯდომარე, წევრები და მსმენელები.
- 7) ყველა ოქმი რეგისტრირდება შესაბამის წიგნში/ჟურნალში და ინახება საქმეში მეზღვაურთა მომზადება/გადამზადების კურსების საგამოცდო ოქმებში.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში  
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

- 8) არაკონვენციური კურსების ოქმებს გააჩნია ისეთივე საიდენტიფიკაციო ნომერი, როგორც კონვენციური კურსების ოქმებს.
- 9) არაკონვენციური კურსების სერტიფიკატის ასლი ინახება მსმენელის პირად საქმეში.
- 10) კონვენციური კურსებისთვის ელექტრონულ მოდულიდან ამონაწერი (მიმართვა) რეგისტრირდება გასული კორესპონდენციის აღრიცხვის წიგნში, ენიჭება გასული წერილის ნომერი და ასლი ინახება მსმენელის პირად საქმეში. ორიგინალი ეძლევა მსმენელს, რომელიც უნდა წარადგინოს საზღვაო სააგენტოში შესაბამისი სერტიფიკატის მისაღებას.
- 11) კურსების დასრულების შემდეგ ბუსსს ანრის ხარისხის სამსახურის მოთხოვნით მსმენელი, ნებაყოფლობით, ავსებს გაწეული მომსახურების შეფასების ფურცელს (იხ.დანართი 2). მსმენელმა გაწეული მომსახურების შეფასების ფურცელი შეიძლება შეავსოს ანონიმურად. ანონიმურობის დასაცავად მიძღვნილი განთავსებულია ყულაბა, სადაც მსმენელი მოათავსებს მის მიერ შევსებულ შეფასების ფორმას.
- 12) თუ შეფასების ფურცელზე მსმენელი აღნიშნავს სახელ, გვარს ასეთი ფურცელი ინახება მსმენელის პირად საქმეში, თუ მსმენელი რჩება ანონიმი - ფურცლები ინახება ხარისხის სამსახურში შესაბამის საქმეში.

## 11. მსმენელის ცოდნის შეფასების პროცესი

- 1) კურსების მოსამზადებელ ნაწილში, მოთხოვნისამებრ, კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შედის თეორიული, პრაქტიკული და დემონსტრაციული ნაწილი. ყველა კურსს გააჩნია გაკრვეული ნაწილი, ასე მაგალითად კურსი შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ თეორიული და დემონსტრაციული ნაწილისგან; პრაქტიკული მეცადინეობებისგან ან როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ნაწილისგან.
- 2) ყველა კურსის პროგრამაში გაწერილია კურსის შემადგენელი თემატიკა, ანუ ის საკითხები, რომელიც განიხილება კურსის თეორიულ, პრაქტიკულ თუ დემონსტრაციულ ნაწილში.
- 3) კურსის დასრულების შემდეგ, მსმენელმა უნდა ჩააბაროს გამოცდა, რის შედეგად ხდება ცოდნის შეფასება.
- 4) თუ კურსი შედგება მხოლოდ თეორიული ნაწილისგან, მსმენელი აბარებს გამოცდას ტესტირების სახით, კონვენციური კურსის შემთხვევაში ელექტრონულად, არაკონვენციურს რეალურ სივრცეში. თითოეული კურსისთვის შემუშავებული ტესტები (იხ.დანართი 3), რომლებიც შედგება 10 ან 15 საკითხგან. შეფასების ერთეულს წარმოადგენს %, ხოლო ბარიერი თეორიულ ნაწილში დადგენილია 70%.
- 5) გარკვეულ კურსებზე მსმენელის ცოდნის შეფასება წარმოებს კომპიუტერული/სიმულატორული პროგრამის გამოყენებით. გამოცდა ითვლება ჩაბარებული, თუ მსმენელი წარმატებით შეასრულებს ინსტრუქტორის მიერ მიცემულ დავალებას.
- 6) გამოცდის, ტესტირების შედეგები ფიქსირდება საგამოცდო ოქმში „ჩათვლა“, „არ ჩათვლა“-ს, „არ გამოცხადება“ აღნიშვნით.
- 7) ყოველი ზემოხსენებული და სხვა შპს ბუსსს ანრიში მოქმედი კურსების დამატებითი მოთხოვნები გაწერილია თითოეული კურსის პროგრამაში, მათ შორის კურსის ჩასატარებლად განკუთვნილი ტექ. საშუალებების და ბიბლიოგრაფიის შესახებ.

## 12. შემოწმება, კონტროლი

- 1) არსებული წინაპირობისა და მოთხოვნების მიმდინარე კონტროლი ხორციელდება წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის ხარისხის მართვის სისტემის სპეციალისტის მიერ;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში  
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

- 2) არსებული წინაპირობის და მოთხოვნების შესრულების შემოწმება ხორციელდება ხარისხის მართვის სისტემის შიდა და გარე შემოწმებების დროს.

### 13. რესურსები

არსებული წინაპირობისა და მოთხოვნების რეალიზაციის უზრუნველყოფისათვის უნდა გამოიყოს შემდეგი საჭირო რესურსები:

- 1) ჟურნალები, ბლანკების ფორმები, შტამპები, ბეჭდები, რომლებიც საჭიროა წინამდებარე წესის დებულებების შესრულებისათვის;
- 2) კვალიფიციური პერსონალი, რომლებიც შეიმუშავენ ნორმატიულ დოკუმენტაციას და გაატარებენ მოცემული წესით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
- 3) მატერიალური რესურსები: საბეჭდი ქაღალდი, სამუშაო ადგილების მოწყობა, კომპიუტერული და გასამრავლებელი ტექნიკა;
- 4) ფინანსური რესურსები პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე საშტატო განრიგის თანახმად.

### 14. პასუხისმგებლობათა განაწილება

1. ბუსსს ანრის გენერალური დირექტორი
  - ამტკიცებს წინაპირობას და მოთხოვნებს და მასში ცვლილებებს;
  - გამოყოფს შესაბამისს მატერიალურ, ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს
2. ბუსსს ანრის წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი:
  - პასუხისმგებელია შემუშავებული და დამტკიცებული მოთხოვნების შესრულების კონტროლზე;
  - პასუხისმგებელია წინაპირობისა და მოთხოვნების პერიოდულ შემოწმებაზე;
  - საჭიროებისამებრ ახდენს ცვლილებების შეტანას დებულებაში, ხარისხის სამსახურთან შეთანხმებით
  - პასუხისმგებელია შემუშავებული და დამტკიცებული მოთხოვნების შესრულებაზე
4. ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
  - ამუშავებს დოკუმენტს;
  - წარუდგენს სენატს განსახილავად და გენერალურ დირექტორს დასამტკიცებლად
5. ბუსსს ანრის წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის პედაგოგები
  - შეიმუშავენ სასწავლო პროგრამებს, საგამოცდო საკითხებს და მათ პასუხებს;
  - აკონტროლებენ არსებული მოთხოვნებში და სტანდარტებში ცვლილებების შესვლას და ახორციელებენ ამ ცვლილებების იმპლემენტაციას სასწავლო პროგრამაში და სწავლების პროცესში კომპეტენტურ პირებთან შეთანხმებით
  - ვალდებულნი არიან შეასრულონ არსებული წინაპირობა და მოთხოვნები
6. ბუსსს ანრის პერსონალი
  - უშუალოდ პასუხისმგებელია არსებული წინაპირობისა და მოთხოვნების შესრულებაზე თანამდებობრივი ინსტრუქციით განსაზღვრულ ფარგლებში.

### 15. ანგარიშგებითი დოკუმენტები

წინამდებარე წესის დებულებები გამოიყენება შემდეგი ანგარიშგებითი დოკუმენტების გაფორმებისათვის:

- 1) მსმენელების განცხადებები;
- 2) მსმენელების პირადი საქმეები;
- 3) სასწავლო პროგრამები;
- 4) მსმენელების საგამოცდო ტესტირების ფურცლები;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში  
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

**Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre**

- 5) მსმენელების შეფასების ფურცლები;
- 6) საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები
- 7) ამონაწერი ელექტრონული მოდულიდან

**16. კონფიდენციალურობა**

არსებული პროცედურა წარმოადგენს შპს ბუსსს ანრის შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის წარდგენას, გარდა აუდიტორებისა შიდა, გარე და ინსპექციური შემოწმების დროს.




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში  
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

დანართი 1

არაკონვენციური კურსების სერტიფიკატის ნიმუში





შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში  
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

დანართი 2

მფ-№ 02-058-08-28.06.21/G

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი



მსმენელის კმაყოფილების შეფასების ფორმა

შეცხების თარიღი \_\_\_\_\_

კურსების დასახელება \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_

გთხოვთ, შეაფასოთ 1 დან 5 ქულამდე

1. მსმენელთა მომსახურების განყოფილების თანამშრომელთა მომსახურება	1	2	3	4	5
2. ინფორმაციის სრულყოფილად მიღება	1	2	3	4	5
3. დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა	1	2	3	4	5
4. ინსტრუქტორთა კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი	1	2	3	4	5
5. მომზადების ხარისხი	1	2	3	4	5
6. სასწავლო მასალის გადმოცემა, გაცემა	1	2	3	4	5
7. კურსების და სიმულატორების შესაბამისობა აუდიტორიუმთან	1	2	3	4	5
8. სიმულატორების გამოყენება	1	2	3	4	5
9. მსმენელის ცოდნის შემოწმება და შეფასება	1	2	3	4	5
10. ვეკლავდის გეგმა, ავარიული გასასვლელები	1	2	3	4	5
11. უსაფრთხოებისთვის საჭირო აღჭურვილობა	1	2	3	4	5
12. უსაფრთხოების ნორმების უზრუნველყოფა	1	2	3	4	5

1-2



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში  
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

დანართი 3

მგ-02-№139-08-03.01.12

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი  
Batumi High Maritime Engineer School ANRI, LLC

პრაქტიკული ცოდნის შეფასების ფურცელი  
CHECK LIST  
to assess trainee's practical knowledge

ხანძართან ბრძოლის გაფართოებული წვრთნები (მ.კ. 2.03)  
Advanced Fire Fighting (M.C. 2.03)

საკითხის დასახელება Question	ჩასარების აღნიშვნა Note of result ✓ ჩაეთვალა (10%) Positive (10%) არ (No) – არ ჩაეთვალა Neg ative
1. ეკიპაჟის წევრების პასუხისმგებლობის განაწილების წყევნა სახანძრო კომანდოში Demonstration of crew gather with due general alarm and there action according to muster list duties	
2. მიქცევის დემონსტრირება, რომელიც მოდებულა სადაზღვეო გუნდის მიერ პორტატული ცეცხლსაქრობი და სახანძრო შლანგების გამოყენებით Demonstration of proper connection of fire hoses with fire hydrants and how nozzle can be adjusted to produce a concentrated jet, a spray or mist water supply	
3. სასუნთქი აპარატის გამოყენების დემონსტრირება Demonstration of fireman's outfit using (personal equipment, breathing apparatus, fire-proof line)	
4. ტელეფონის დემონსტრირება და სახანძრო წყლისა და სახანძრო ქაფის სისტემების შენარჩუნება (ძირითადად პიდრანტები, შლანგები, რეაქტიული საქონელი, ქაფით შევსება და სხვა უნდა იყოს წესრიგში) Demonstration of communication via fire-proof lifeline	
5. პორტატული ცეცხლსაქრობის გამოყენების დემონსტრირება. Demonstration of fire extinguishing with water	
6. სახანძრო ქაფის სისტემის გამოყენების დემონსტრირება. Demonstration of fire extinguishing with foam	
7. ხანძროსაწინააღმდეგობისა და სხვა დამცავი აღჭურვილობის სწორად გამოყენების დემონსტრირება Demonstration of proper using of breathing apparatus with a low air consumption	
8. ეკიპაჟის წევრების მიერ ვაშლიანი სივრტიდან გაქცევის დემონსტრირება Demonstration of crew member search from a smoke-filled space	
9. წყლით ხანძრის ჩაქრობის დემონსტრირება Demonstration of fire extinguishing with water	
10. ვაშლიანი სივრტეში ეკიპაჟის წევრების ძებნის დემონსტრირება Demonstration of crew member search from a smoke-filled space	
საბოლოო შედეგი (% უკმაყოფილო; ჩაეთვალა; არ ჩაეთვალა) Result (sum of %; positive, negative)	

ჩასარების თარიღი: \_\_\_\_\_  
(Date)  
მსმენელის სახელი, გვარი, იდ.№ \_\_\_\_\_  
(full name and ID.№ of trainee)  
შეფასებელი პირები:  
Examiners: \_\_\_\_\_  
პედაგოგი \_\_\_\_\_



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში  
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

დანართი 4

დამტკიცებულია: 2015 წლის 17 დეკემბრის  
სენატის სხდომისზე ოქმი № 35;

მგ-02-№063-08-03.01.12



შპს „ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი“

მსმენელის სახელი გვარი: \_\_\_\_\_ თინამდებობა: \_\_\_\_\_

იდ.№ \_\_\_\_\_ ტესტის ჩატარების თარიღი: \_\_\_\_\_

საგანი: SMS/ISM- CODE /უსაფრთხოების სისტემა/საერთაშორისო უსაფრთხოების კოდექსი  
შეფასების კრიტერიუმები: თითოეული საკითხი ფასდება 10წილად

ტესტი 1.

ტესტი 1. რა არის ISM კოდექსი?

1. გემების და დაბინძურების პრევენციის უსაფრთხო ოპერაციის მართვის საერთაშორისო კოდექსი.
2. გემების უსაფრთხო ოპერაციების მართვის საერთაშორისო კოდექსი.
3. ადამიანის სიცოცხლის უსაფრთხოებისა და უსაფრთხოების საერთაშორისო კოდექსი ზღვაში

ტესტი 2. რა არის უსაფრთხოების მართვის სისტემა (SMS)?

1. ბანკსა და სასამართლოში სტრუქტურული და დოკუმენტირებული სისტემა უსაფრთხოებისა და დაბინძურების პრევენციის პოლიტიკის განხორციელებისათვის.
2. დოკუმენტაცია, რომელიც აღწერს და წარუდგენს SMS- ს.
3. სახელმძღვანელო ISM- ის კოდექსის (MPS, MFS) გამოყენების შესახებ
4. ISF- ის საპროცესო მოთხოვნები ISM- ის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის სერტიფიცირებისათვის.

ტესტი 3. "ISMC სერტიფიკაციის" კონცეფციის განსაზღვრა.

1. დოკუმენტირებული ქმედება, რომელიც ადასტურებს, რომ გამოვლენილი SMS შეესაბამება ISM- ის კოდექსის მოთხოვნებს.
2. SMS (MPS) შეფასება და განვითარება ინსპექტირების, ინსპექტირების პერიოდში განხორციელებული ფაქტების დადგენა.
4. გემზე გადებული დოკუმენტის მიღება და მნიშვნელობა, რომ კომპანია და მისი მართვა გემი მოქმედებს დამტკიცებული SMS- ის შესაბამისად.

ტესტი 4. რა არის DSK?

1. კომპანიაზე გადებული შესაბამისობის დოკუმენტი და მისი შესრულების დადასტურება ISM- ის კოდექსის მოთხოვნებთან.
2. გემზე გადებული შესაბამისობის დოკუმენტი და მოუთხოვს, რომ კომპანია და მისი მართვა გემზე მოქმედებს დამტკიცებული SMS- ის შესაბამისად.
3. დოკუმენტი კომპანიაზე გადებული შესაბამისობის შესახებ 12 თვის მოქმედების ვადის განმავლობაში და მისი შესაბამისობა ISM კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

ტესტის 5. რა არის მხ?

1. გემზე გადებული დოკუმენტი, რაც ნიშნავს, რომ კომპანია და მისი მართვა გემზე მოქმედებს დამტკიცებული SMS- ის შესაბამისად.
2. კომპანიისთვის გადებული შესაბამისობის დოკუმენტი და მისი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი ISM- ის კოდექსის მოთხოვნებთან.
3. გემზე გადებული დოკუმენტი 6 თვემდე ვადით და მოუთხოვს, რომ კომპანია და მისი მართვა გემი მოქმედებს დამტკიცებული SMS- ის შესაბამისად.





შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში  
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

17. დებულების პერიოდული შემოწმების ფურცელი

	პერიოდული შემოწმების თარიღი	შემოწმების ჩამტარებელი პირის თანამდებობა და ინიციალები	ხელმოწერა	შესწორებას ექვემდებარება პუნქტები



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში  
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება**

**Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre**

**18. პერსონალის დებულებასთან გაცნობის ფურცელი**

	სახელი, გავრი	თანამდებობა	გაცნობის ვადა	გაცნობის თარიღი	ხელმოწერა
1	ნათია დიასამიძე	ადამიანური რესურსების მენეჯერი	21.02.2022		
2	მალვინა ურუშაძე	ბიბლიოთეკის გამგე	21.02.2022		
3	ირაკლი ბეჟინძე	IT ოპერატორი	21.02.2022		
4	ლია ფარტენაძე	ხარისხის სპეციალისტი	21.02.2022		
5	სოფიკო მამულაძე	მთ.ბუღალტერი	21.02.2022		
6	კახიძე ია	ინსტრუქტორი	21.02.2022		
7	გოგიტიძე ირაკლი	ინსტრუქტორი	21.02.2022		
8	ჩხაიძე დავით	ინსტრუქტორი	21.02.2022		
9	შერვაშიძე გენადი	ინსტრუქტორი	21.02.2022		
10	ესანჯია აკაკი	ინსტრუქტორი	21.02.2022		
11	სეიდიშვილი ლავრენტი	ინსტრუქტორი	21.02.2022		
12	აბუსელიძე ნოდარ	ინსტრუქტორი	21.02.2022		
13	ვარშანიძე ფირუზა	ინსტრუქტორი	21.02.2022		
14	ჭინკაძე ბაბუნაშვილი მირანდა	ინსტრუქტორი	21.02.2022		
15	დავითულიანი გელა	ინსტრუქტორი	21.02.2022		
16	ფირცხალაიშვილი დავით	ინსტრუქტორი	21.02.2022		
17	მიქელაძე თამარ	ინსტრუქტორი	21.02.2022		
18	ვერძაძე ჭაბუკა	ინსტრუქტორი	21.02.2022		
19	ბოლქვაძე თამაზ	ინსტრუქტორი	21.02.2022		
20	გიორგაძე ბადრი	ინსტრუქტორი	21.02.2022		
21	ბერიძე რევაზ	ინსტრუქტორი	21.02.2022		
22					
23					
24					
25					



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში  
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

19. შეთანხმების ფურცელი

ნაწილი 1. დოკუმენტის იდენტიფიკაცია, შემთანხმებელი პირი

1.1 შესათანხმებელი დოკუმენტის დასახელება,

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში  
სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის დებულება

Regulation for Training Process at Seafarers' Training and Certification Centre

ნდ 2-010129

1.2 დებულების შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი:

ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი  
რუსუდან დიასამიძე  
უბრუნებელი განყოფილების უფროსი გიორგი დიასამიძე

1.3 შემსრულებელი \_\_\_\_\_ \ \_\_\_\_\_ \  
\_\_\_\_\_ \ \_\_\_\_\_ \

ნაწილი 2.

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

	შემთანხმებლის თანამდებობა	ხელმოწერა	შეთანხმების რიცხვი	შეთანხმების დრო	შენიშვნა
1	წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი ვლადიმერ ბოგდანოვი				
2	წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის საქმისმწარმოებელი მონიკა დიასამიძე				
3					

დოკუმენტი შესათანხმებლად წარადგინა \_\_\_\_\_ ხელმოწერა \_\_\_\_\_ სახელი, გვარი \_\_\_\_\_ თარიღი